

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №

\_\_\_ ნოემბერი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 2101,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 05.23.03.015) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით N1 (შადრევნი), მოვლა-პატრონობის მიზნით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“  
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემვიდა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს 2020 წლის 12 თებერვლის #01-11/48 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბათუმის ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, უნივერსიტეტის უკან განთავსებულია შადრევანი და 24 ერთეული ბადის კლასიკური სკამი, რომელთაც ესაჭიროება სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ითხოვს აღნიშნული ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემას.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა შადრევნით მოცული ტერიტორიის საჯარო რეეტრში N05.23.03.015 კოდით ცალკე საკადასტრო ერთულად რეგისტრაცია. მიწის ნაკვეთის ფართობი 2101,0 კვ.მ., მასზე განთავსებულია N1 შენობა-ნაგებობა (შადრევნი).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 2101,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.03.015) მასზე განთავსებული შენობა ნაგებობით N1 (შადრევნი).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოვლა-პატრონობის მიზნით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სსიპ „ბათუმის ბულვარი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი**

**დავით კოპინაძე**

N 01-11/48  
12/02/2020

48-01-11-2-202002121442



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
მერის მოვალეობის შემსრულებელს  
ბატონ ჯაბა ტულუშს**

**ბატონო ჯაბა,**

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბათუმის ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უკან განთავსებულია 1 (ერთი) ერთეული შადრევანი და 24 (ოცდაოთხი) ერთეული ბაღის კლასიკური სკამი, რომელთაც საზაფხულო სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ესაჭიროება რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებას, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით სარგებლობის უფლებით გადმოგვცეთ რუსთაველის უნივერსიტეტის მიმდებარედ არსებული 1 (ერთი) ერთეული შადრევანი და 24 (ოცდაოთხი) ერთეული ბაღის კლასიკური სკამი.

**პატივისცემით,**

დავით სურგულაძე

დირექტორი - მ.შ.

სსიპ "ბათუმის ბულვარი"

